საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№21-01/19 „20“ თებერვალი 2019 წ.

შ.პ.ს. ,,მოდული”-ს დირექტორს
ბატონ ირაკლი ნარმანიას.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №5-ში მდებარე მრავალსართულიანი კომპლექსის შენობის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესახებ.

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღმში, მირიან მეფის ქუჩა №5-ში შ.პ.ს. „მოდული“-ს მიერ აგებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი. კომპლექსში შემავალი შენობები კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში, ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილია ანტისეისმური ნაკერით. სართულიანობის თვალსაზრისით კომპლექსი შედგება ერთი მიწისქვეშა სართულისაგან და მიწისზემოთ ნაწილობრივ თერთმეტი და ნაწილობრივ თორმეტი სართულისაგან. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთები სიმაღლის მიხედვით იცვლება BxH=80x80-დან BxH=50x50 სმ.-ის დიაპაზონში. შენობის საძირკვლებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილა, სისქით 70 სმ; წიბოების განივი კვეთია BxH=100x150 სმ. მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის ბეტონის სიმტკიცის კლასი მიღებულია B20.

თავდაპირველად კომპლექსში შემავალი შენობები იყო ნაწილობრივ თერთმეტი და ნაწილობრივ თორმეტ სართულიანი, ზოგიერთი ბოლო სართული წარმოდგენილი იყო ღია ტერასებით და მსუბუქი ქანობიანი გადახურვებით, მოგვიანებით თერთმეტ სართულიანი ნაწილებისათვის მსუბუქი გადახურვებისა და ტერასების ნაცვლად მოეწყო სრულყოფილი სართული და ამგვარად კომპლექსი სართულიანობის თვალსაზრისით გახდა ერთგვაროვანი. აღნიშნული განხორციელდა ქ. თბილისის მერიის

სსიპ არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

ადგილზე შემოწმების საფუძველზე შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ ჩატარებული სამუშაოები სრულად შეესაბამება შეთანხმებული პროექტით მოცემულს.

მიმდინარე წელს, შ.პ.ს. „მოდული“-ს მიერ დამუშავდა პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილის კორექტირებული ვარიანტი, პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დღეისათვის არსებული შენობის ორ მონაკვეთზე (ღერძებში „ი“÷„ო“, „10“÷„13“ და ღერძებში „ბ“÷„ზ“, „9“÷„11“) სართულის მოწყობა მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით, რომელიც შემდგომ გადაიხურება მსუბუქი (ფოლადის ელემენტებით) კონსტრუქციებისაგან, ანალოგიურად გადაიხურება მსუბუქი კონსტრუქციული ელემენტებით მეთორმეტე სართულის გადახურვები (ღერძებში „ა“÷„დ“, „1“÷„8“ და ღერძებში „ბ“÷„ი“, „11“÷„13“).

დასკვნა:

წარმოდგენილი პროექტის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გაცნობებთ, რომ იგი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით, დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ დონეზე, ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ პროექტის განხორციელების შედეგად არსებული კომპლექსის შენობების მზიდუნარიანობა მათზე მოქმედი სტატიკური და სეისმური დატვირთვების ზემოქმედების თვალსაზრისით უზრუნველყოფილია.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com